პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

127 (1122) | კვირა, 20 ივნისი 1926 წ. | 127 (1122)

## ქართული სამხედრო სკოლის ხუთი წელი.

რამოდენიმე თვის წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ ქართული წითელი ჯარის ხუთი წლის არსებობა. დღეს 20 ივნისს ჩვენ ვდღესასწაულობთ იმ სამჰედურის არსებობის ხუთი წლისთავს, რომელიც თავის კედლებიდან უშვებს ქართული ნაწილების ალმშენებლებს—წითელმეთაურებს. ეს სამჰედურია ქართული სამხედრო სკოლა. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში სკოლამ მეტად დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა, რითაც სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მან მისცა ჩვენ წითელ ჯარს არა ერთი და ორი ათეული წითელი მეთაურებისა, რომლებმაც განვლეს არა მარტო სამხედრო თეორეტიული მომზადება, არამედ აგრეთვე მიიღეს სათანადო საბრძოლო ნათლობა კონტრრევოლიუციონური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არსებობის პირველ ხანებში სკოლას ძლიერ უძნელდებოდა მუშაობა. ამის მიზეზი იყო ზოგჯერ უბინობა, ტეხნიკური მოუწყობლობა, შემადგენლობის შეურჩევლობა და მრავალი სხვა. მაგრამ დროთა მსვლელობაში სკოლა თანდათან აუმჯობესებდა თავისი მუშაობის პირობებს, სძლევდა დაბრკოლებებს და მედგრად მიიწევდა წინ. რაც უფრო გადიოდა ხანი, მით უფრო მეტად მომზადებულ მეთაურებს უგზავნიდა ის ქართულ წითელ ჯარს.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სავსებით სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე და თავისი მუშაობის ნაყოფიერობით ის არ ჩამოუვარდება საბჭოთა კავშირის თანაბარ საფეხურის სამხედრო სკოლებს.

მისი სახით ქართულ წითელ ჯარს ყავს თავის ალმშენებლების ღირსეული აღმზრდელი, ხოლო საქართველოს მუშებს და გლეხებს კი ფხიზელი, ერთგული, თავდადებული დარაჯი.

თავისი ხუთი წლის დაუღალავი მუშაობით ქართულმა სამხედრო სკოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული წითელი ჯარის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში.

ვუსურვებთ მას, რომ კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობა გაეწიოს მომავალში ამ მიმართულებით.

ვაშა „ქართულ მეთაურთა სკოლას!

ვაშა მისი ხუთი წლის სახელოვან მუშაობას!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

## ინგლისის იმპერიალიზმის მორიგი გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია. ის ყოველ ხელსაყრელ მომენტში მზად არის გაილაშქროს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ის მუდამ ეძებს საბაბს რომ რაიმე შარი მოსდოს საბჭოთა ხელისუფლებას. ამ უკანასკნელად მან თითზე დაიხვია ის ფაქტი, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა დახმარება გაუწიეს ინგლისის გაფიცულ მუშებს. ინგლისის კონსერვატიულ მთავრობამ ამის შესახებ მემორანდუმი გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას. მემორანდუმში ის უსაყვედურებს საბჭოთა მთავრობას მასში, რომ ამ უკანასკნელმა საბჭოთა პროფკავშირებს ნება დართო ფული გადაეგზავნათ ინგლისის პროლეტარიატისათვის. საბჭოთა მთავრობის ასეთ ნაბიჯს მემორანდუმი სთვლის, როგორც ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდას. მემორანდუმი ბოლავდება სიტყვებით, რომ საბჭოთა მთავრობის მსგავსი მოქმედებანი ხელს არ შეუწყობენ ინგლისთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებას.

როგორც ვხედავთ ინგლისის მთავრობა ძლიერ განრისხებულია. ის ბრალდებას ბრალდებაზე უყენებს საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცა ასეთ თავხედურ მიმართვას. მან უპასუხა: „საბჭოთა ხელისუფლება გამოხატავს საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ინტერესებს და მას არ შეეძლო აეკრძალა პროფკავშირებისათვის, რომლებშიდაც დარაზმული არიან საბჭოთა კავშირის მრავალ მილიონიანი მუშები, ფულის გადაგზავნა საზღვარგარეთ სხვა ქვეყნის პროფკავშირთა დასახმარებლად“-ო.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, რომელიც ნათლად ამტკიცებს ინგლისის მემორანდუმის სრულ უსაფუძვლობას. საქმე იმაშია, რომ ინგლისის მუშებმა დახმარება მიიღეს არა მარტო საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისაგან, არამედ სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა პროფკავშირებისაგან. ინგლისის მთავრობამ კი პროტესტი ასეთ დახმარების წინააღმდეგ მხოლოდ ჩვენ გამოგვიგზავნა, და ეს არც არის გასაკვირი. ინგლისის იმპერიალისტურ ბურჟუაზიამ საბაბი იშოვა, რომ კიდევ ერთხელ გამოელაშქრა ჩვენს წინააღმდეგ, რომ კიდევ ერთხელ ჩვენს წინააღმდეგ დაერაზმა თავის ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი. კაპიტალისტური ინგლისი ვერ ინელებს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცდება, მატერიალურად ღონიერდება და თავისი არსებობით უტყუარ იმედს აძლევს ევროპის პროლეტარიატს მის საბოლოო გამარჯვებაში კაპიტალზე. აი რატომ ბრაზობს იმპერიალისტური ინგლისი და გააფრთებულ კამპანიას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მის მორიგ თავხედობას სასტიკი გულისწყრომით შეხვდა საბჭოთა პროლეტარიატი. და თითეული ასეთი მისი გამოლაშქრება ღირსეულ პასუხს მიიღებს შემდეგშიაც საბჭოთა ქვეყნების ყველა მშრომელებისაგან.

—ე.

# ბრიანმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

## დღეს მოხდება გერმანიის ყოფილ მეფის ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ საყოველთაო ხმის მიცემა.

### საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხზე 25 ივნისს გაიმართება კამათი ინგლისის თემთა პალატაში.

## მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

### ბრიანს იმედი აქვს

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ბრიანმ განაცხადა:

„მე მოვითხოვ ყოველგვარ პოლიტიკური ხასიათის დისკუსიების შეწყვეტას ფრანკის კურსის შენარჩუნებისათვის წარმოებულ კამპანიის მთელი ხნის განმავლობაში და მთავრობის ყველა სათანადო უფლებებით აღჭურვას ქვეყნის აღდგენის მიზნით“.

### მემარცხენე ბლოკის პოზიცია

მემარცხენე ბლოკის რამოდენიმე წევრების ერიოსთან შემდგარ კრებაზე რადიკალ ბორემ განაცხადა, რომ ერიომ უარი უნდა სთქვას ბრიანის წინადადებაზე კაბინეტში მონაწილეობის მიღების შესახებ და ამით მოუსპოს მას საშვალება ნაციონალურ გაერთიანების მთავრობის შედგენისათვის.

ამჟამად საკითხი იმაში დაუთმობს თუ არა ბრიანი მემარცხენე ბლოკის მოთხოვნას თუ შეეცდება შეადგინოს კაბინეტი ერიოს გარეშე.

### ერიომ უარი განაცხადა

ერიოს უარის შემდეგ მთავრობის წევრობაზე, ბრიანმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე და დასძინა, რომ მისი აზრით მხოლოდ ერიოს შეუძლია გადაჭრას არსებული კრიზისი.

### ერიო დასთანხმდა პრინციპიალურად

გავასის სააგენტოს ცნობით, ერიო პრინციპიალურად თანახმაა მთავრობის შედგენაზე.

## პილსუდსკი-დიქტატორი

პოლონეთის ახალი მთავრობა შესდგა პილსუდსკის მიმდევრებისაგან. დიდიდან სახელმწიფოს სათავეში ჩადგომისა ახალი მთავრობა მოწადინებული იყო შეეცვალა კონსტრუქცია (ძირითადი კანონები) პრეზიდენტის უფლებების გაფართოვების მიზნით.

16 ივნის მინისტრების საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს გაუშვას პარლამენტი, არ დაამტკიცოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და დამოუკიდებლად გამოსცეს კანონები.

ამრიგად პოლონეთის პრეზიდენტი ისარგებლებს განუსაზღვრელი ძალაუფლებით.

სწორედ ეს უნდოდა პილსუდსკის. ახალი პრეზიდენტი მოსციცკი აკეთებს იმას, რასაც უბრძანებს მას პილსუდსკი. მოსციცკიმ ეს დადგენილება წარუდგინა დასამტკიცებლად პარლამენტს. როგორც ამბობენ მოსციცკი ემუქრება პარლამენტს გადადგომით, თუ მან არ მიიღო ხსენებული დადგენილება.

## „არც ერთი კაპეიკი თავადებს“.

დღეს მოხდება საყოველთაო კენჭის ყრა გერმანიაში იმის შესახებ, ჩამოერთვას თუ არა გერმანიის სამეფო გვარეულობას აუნაზღაურებლად ქონება.

გერმანიის ბურჟუაზია, კაპიტალისტები და მენშევიკები მოითხოვდენ, რომ ჩამორთმეული ქონების მაგივრად სამეფო გვარეულობისათვის გადაეხადა გერმანიის ხალხს ანაზღაურება.

გერმანიის კომპარტიამ სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და მოითხოვა რომ ეს საკითხი თვითონ გერმანიის ხალხს გადაეჭრა საყოველთაო კენჭის ყრით. ამ მოთხოვნილებამ გაიმარჯვა და დღეს იტყვის ხალხი თავის სიტყვას.

გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელ ამხ. ტელმანმა ამის შესახებ განაცხადა:

„თუ 20 ივნისს არ მოხერხდა იმ 20 მილიონი ხმის შეგროვება, რომელიც საჭიროა, რომ ანაზღაურებული არ იქნეს მონარქების ჩამორთმეული ქონება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ რეაქცია თანდათან ძლიერდება. თუ გავიმარჯვეთ მოსალოდნელია, რომ ბურჟუაზიის შემოტევამ გამოიწვიოს სამოქალაქო ომი

ორივე შემთხვევაში უნდა მოველოდეთ, რომ ბურჟუაზია გაილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ და მოსალოდნელია მძიმე ბრძოლები.

კომუნისტური პარტია ეცდება, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა კლასს ამ ბრძოლებში გაძლიერებული რეაქციის წინააღმდეგ“.

## გაიხსნა მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია

17 ივნის ლედეში (სამხრეთ სლავია) გაიხსნა მცირე ანტანტის სახელმწიფოების კონფერენცია. საერთო აზრით კონფერენცია ჩატარებული იქნება რუმინეთსა და სამხრეთ სლავიის შორის თანდათან გაძლიერებული მეტოქეობის ნიშნის ქვეშ, რადგან ორივე სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიებს ერთა ლიგაში მანდატზე—მცირე ანტანტის სახელმწიფოების მხრიდან.

## საპროტესტო მიტინგები რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ

ბულგარეთის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც სასტიკად ავიწროებს დობრუჯაში მცხოვრებ ბულგარელებს. სოფიაში მომხდარ მიტინგზე გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მიტინგი მიმართავს მთელ განათლებულ კაცობრიობას ხმა აღიმაღლონ დუბრუჯის ბულგარელების დასაცავათ რუმინეთის მთავრობის შევიწროებისაგან.

## პუანკარეც მოითხოვს სათანადო უფლებებით აღჭურვას

უკანასკნელი ცნობების თანახმად პუანკარე დასთანხმდა მიიღოს ფინანსთა მინისტრის პორტფელი იმ პირობით თუ მას მიანიჭებენ ფართო უფლებებს და კანტროლის გაწევის უფლებას სხვა და სხვა უწყებების ბიუჯეტზე.

### ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.



1-ლი ქართული ლეგიონის წითელარმიელები ათვალიერებენ ექსპონატებს.

# ავიაქიმის დღესასწაული.

14 ივლისს სრულდება ერთი წელი, რაც საჰაერო ფლოტისა და ქიმიის მეგობართა საზოგადოებები გაერთიანდნენ. როგორც გაერთიანებამდე, აგრეთვე მის შემდეგ ხსენებულ საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა ავიაციისა და ქიმიის აღორძინებისა და მათი მნიშვნელობის გაგების საკითხებში.

14 ივლისისათვის უნდა იქნეს ჩატარებული დღესასწაული, რომელიც კიდევ ერთხელ გადასინჯავს წასულ მუშაობას და მიიღებს ზომებს მისი კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ამ დღისათვის საჭიროა მოხდეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია. მთელი ენერგიით და ენტუზიაზმით მოვკიდოთ ხელი ახალ მუშაობას, რომ მშვიდობიან დროს ავაყვავოთ ჩვენი მეურნეობა და ომის შემთხვევაში კი გამოვიყენოთ ის თავდაცვის მიზნებისათვის.

ამისათვის საჭიროა, როგორც ჯარის ერთეულებში, აგრეთვე ქალაქებში და სოფლად ჩატარებული იქნას შემდეგი მუშაობა.

დღესასწაულის წინ ერთი კვირით უნდა გამოცხადდეს ავიაქიმის კვირეული; ქალაქებში—ჯარის ერთეულებში და სოფლად ჩატარებული უნდა იქნას მასიური მოხსენებები შემდეგი პროგრამით:

1) მომავალი ომები, 2) ავიაცია და ქიმია სასოფლო მეურნეობაში, 3) ავიაციური და ქიმიური წარმოება ჩვენში, საზღვარ გარეთ და მათი მნიშვნელობა, 4) ავიაქიმი და სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება, როგორც საბჭოთა კავშირის თავდაცვის ორგანიზაციები; 5) ავიაქიმი და ჩვენი სოფელი; 6) ავიაქიმ რაზმების მნიშვნელობა თავდაცვის საკითხში ომიანობის დროს და მშვიდობიანობისას სასოფლო მეურნეობაში.

მეშვიდე დღეს ჩატარებული უნდა იქნეს კამპანია საზოგადოებაში ახალი წევრების მიღების შესახებ.

იმისდა მიხედვით თუ როგორ შეუწყობს ხელს ადგილობრივი პირობები და მეთოდი კვირეულის ჩატარებას, დამოკიდებულია მისი ნაყოფიერება და საზოგადოების დაინტერესება.

დიდი მნიშვნელობა ექნება ავტორიტეტული ამხანაგების გამოყვანს მომხსენებლებად. საჭიროა მათ ექნეს შესაფერი მომზადებაც.

ყოველ მოხსენების შემდეგ სასურველია იქნეს მოწყობილი კინო, წარმოდგენა, ინსცენიროვკები და ან რაიმე გასართობები ავიაქიმის მუშაობის დარგიდან.

სოფლად კვირეული ჩატარებულ უნდა იქნას საშეფო საზოგადოების საშუალებით. ამისათვის გამოყოფილი უნდა იქნან სპეციალურად სოფლად მუშაობისათვის შესაფერი მომზადების ამხანაგები.

საჭიროა ჩატარდეს კამპანია პრესაში, სახელდობრ მომხსენებლებს დაევალოს თავის თემები გააშუქონ ადგილობრივ გაზეთებში. ეს საჭირო არის იმისათვის, რომ კვირეულის ჩატარებით და მოხსენებების შინაარსით უფრო დაუკავშირდეთ ერთმანეთს.

კ. გამრეკლიძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი მიღწევები.

### 1-ლი ლეგიონის 1-ლი ათასეული.

13 ივნისს შესდგა 1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეულის ახკომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ აგრეთვე პარტიის წევრები და მიმაგრებულ სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი. გაკეთებული იქნა მოხსენება ლეგიონის ახკომკავშირის ორგანიზატორის მიერ თავისი მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა მუშაობა საკმაო ნაყოფიერებით ყოფილა წარმოებული. ყველა ჯგუფებში დაწყებული მეცადინეობა საზაფხულო პროგრამის მიხედვით. ორგანიზაციას საკმაოდ კარგი კავშირი ჰქონია სამოქალაქო და სხვა სამხედრო ნაწილების ახკომკავშირელთა ორგანიზაციებთან. ნაწილის კომკავშირი თანდათან დიდ ავტორიტეტს იძენს წითელარმიელთა ფართო მასაში, რასაც შედეგათ მოყვა უპარტიო წითელარმიელთა ლტოლვა კავშირის რიგებისაკენ. კომკავშირელთა შორის დისციპლინა დამაკმაყოფილებელია. ამხანაგები კარგი მაგალითის მაჩვენებელი არიან უპარტიოებისათვის.

კრებამ დასასრულ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი ორგანიზატორის მუშაობა.

გონგლაძე.

## ჯგუფის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

### მე-5 ლეგიონი.

ლეგიონის ახკომკავშირის მეორე ჯგუფი საკმაოდ მომზადებული შეხვდა საზაფხულო მუშაობის პერიოდს. ახალი გეგმა მოითხოვდა, რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ჯგუფის მუშაობა, განსაკუთრებით უპარტიო წითელარმიელთა შორის. შექმნილიყო ახალი აქტივი—ძველი აქტივის ცვლა და გაბმულიყო მტკიცე კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ყველა ამ დასახული მიზნების მიღწევა ადვილად შესძლო ჯგუფმა. გაღრმავებული იქნა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა. 80 პროც. მეტი ახკომკავშირელები იყო ჩაბმული ამ მუშაობაში—უმთავრესად ლენკუთხეებში.

გამოჩენილი იქნა პარტყრილობების რეზოლიუციები საფუძვლიანად.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯგუფს აგრეთვე სამხკორთა წრის ჩამოყალიბებაშიც. თითქმის ყველანი სისტემატიურად თანამშრომლობენ კედლის და ცენტრალურ გაზეთებში.

დისციპლინა ამ უკანასკნელად მაინც მტკიცედ არის დაცული ახკომკავშირელებს შორის.

ჯგუფმა წარმატებით შესძლო მტკიცე კავშირში შესულიყო სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ხშირად ვიწვევთ გაერთიანებულ კრებებს. ვღებულობთ ზომებს სამხედრო კუთხეებისა და ქოხსამკითხველოების გაჯანსაღებისათვის. უპარტიო წითელარმიელთა მასაში თანდათან დიდ ავტორიტეტს ვიხვეჭთ.

გ. ჭყონია.

# ბანაკი-საბრძოლო მომზადების სკოლაა.

## სასროლო განყოფილება ადგილზე თავდაცვისათვის.

თითეული ნაწილი უნდა ეცადოს, რომ შესვენების, ღამის გათევის და ან თავდაცვის დროს შესაფერი ზომები მიიღოს მტრის მოსალოდნელ უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად. ამ მიზნით მოწინაამდეგის პირდაპირ—წინ და გვერდებზე დაყენებული უნდა იქნეს დამცველი (საყარაულო) რაზმი. საყარაულო რაზმის ამოცანაა—თვალყური ადევნოს ახლო-მახლო მიდამოებს და ეცადოს, რომ არ შემოუშვას მოწინაამდეგე თავდაცვის რაიონში. ამ დროს მოწინაამდეგის მეორე ნაწილები განდევნილი უნდა იქნას, ხოლო დიდი ნაწილები კი შეკავებული.

საყარაულო განყოფილებები გაყავთ წინ ოცეულის ბირთვებიდან და ეწყობიან ერთიერთმანეთისაგან 400—500 მეტრის (500—750 ნაბიჯის) დაცილებით. ეწყობიან ისინი ისეთ ადგილებში, საიდანაც შეიძლება ადვილად ედევნოს თვალი მოწინაამდეგის მოძრაობას და ან საიდანაც უფრო ადვილად მოსახერხებელია მტრის გამოსვლა, როგორც მაგალითად: ტყის გზა, ბუჩქნარი, ხევები და სხვა.

საყარაულო განყოფილება გამოყოფს წინ დასაყენებლად მძიებელს და მის თანაშემწეს.

მძიებელის მოვალეობანი შემდეგია: არ დაიწყოს სროლა განყოფილების უფროსის ნებადაურთველად. თავისი ნებით, განყოფილების უფროსის ნებადაურთველად მძიებელს შეუძლია აწარმოოს სროლა თითეული მტრის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უეცრად გამოჩნდება და შეამჩნევს მოწინააღმდეგეს.

მოწინააღმდეგის ცალკეული ძიებლები, თუ ისინი ვერ შეამჩნევენ ჩვენს მძიებელს, გაშვებული უნდა იქნან და ამის შესახებ ეცნობოს განყოფილების უფროსს, რომ სწრაფად ჩაიგდონ ისინი ხელში და დაატყვევონ.

მოწინააღმდეგის მცირე ნაწილების გამოჩენის შემთხვევაში განყოფილების უფროსს უნდა ეცნობოს თოფიდან პირობითი გასროლის საშუალებით ამის შესახებ.

თავისიანი შიკრიკები, გადამბენზე მიმავალი პირები და სხვა მძიებელმა უნდა შეაჩეროს და არ გაუშვას განყოფილების უფროსის დაუკითხავად, რომელიც გამოწვეული უნდა იქნეს თანაშემწის საშუალებით. მძიებელმა უნდა მიუშვიროს მათ მაშხანა და გარდა სიტყვისა „შესდექ" არაფერი არ უნდა უთხრას. ასეთ მდგომარეობაში უნდა შეაჩეროს ისინი მძიებელმა განყოფილების უფროსის მოსვლამდე.

ამას გარდა საყარაულო განყოფილების თითეულმა მსროლელმა უნდა იცოდეს: რომელი მხრიდან უფრო მოსალოდნელია მოწინააღმდეგის გამოჩენა და რამდენად შორს იმყოფება ის განყოფილებიდან.

სად იმყოფება საკუთარი ჯარი და სად არის დაბანაკებული მეზობელი ნაწილები, დაცველი ნაწილის ამოცანა—ასეულის და თავისი ოცეულის. საკუთარი განყოფილების ამოცანა: სად და როგორ არის დაბანაკებული განყოფილება, სად იმყოფებიან მეზობელი დამცველი განყოფილებები, სად არის წინააღმდეგობის გასაწევი ზოლი, როგორი გზებია და საით მიემართებიან. გასანდო.

პოზიციის დაკავებისა და სანგარის დამზადების შემდეგ განყოფილების უფროსი მთელ განყოფილებას ისე დაყოფს, რომ შეეძლებოდეს სამი ცვლა იყოს მის განკარგულებაში ძიებლის, მისი თანაშემწის კავშირის და სხვა საჭირო პირების შესაცვლელად.

ამის შემდეგ მორიგ ცვლა (მძიებელი მისი თანაშემწით) გაყავს უფროსს თვალდევნის საწარმოებლად უფრო მოხერხებულ ადგილას.

განყოფილებისა და თვალმდევნელის ადგილმდებარეობის შესახებ განყოფილების უფროსი აცნობებს ოცეულის უფროსს და მეზობელ ნაწილს—[illegible].

განყოფილების უფროსების მოვალეობას შეადგენს: აწარმოონ ცვლა რიგით, გამოვიდნენ თვალმდევნელის გამოძახებისთანავე და გაიგონ რა ხდება, ძიებლონ და გაგზავნონ უკანვე ამბავის მიმტანი, განყოფილების გამოცვლა შეატყობინონ უფროსს და ახლო მეზობელ განყოფილებას კი აცნობონ: იყო თუ არა მოწინააღმდეგის გამოჩენის შემთხვევა და რომელ მიმართულებით, საით იმყოფებიან მეზობელი ნაწილები, არის თუ არა ახლო-მახლო მოსახლეობა, საით მიემართებიან გზები და სხვა.

პ. მ.

# დუშეთის აჯანყება 1918 წელს.*)

(რვა წლის შესრულების გამო)

(დასასრული)

მცირეოდენი დახმარება თუმცა გაეგზავნა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ბოლო ხანებში, როცა აჯანყება უკვე დამარცხებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, კავკავიდან დუშეთის მაზრაში გაიგზავნა ამხ. ს. გეგეჭკორი თავისი პატარა რაზმით, რომელმაც მოასწრო მხოლოდ ყაზბეგის განიარაღება და შემდეგ დამარცხებული უკანვე დაბრუნდა.

მენშევიკების მთავრობის მდგომარეობა ამ მხრით შეუდარებლად უმჯობესი იყო: მას ჰყავდა ერთი მხრით მეფის ოფიცრების მეთაურობით გაწვრთნილი ჯარი და მეორე მხრით ეგრედ წოდებული სახალხო გვარდია, რომელიც დატყუილებულ მუშებისაგან შესდგებოდა და რომელიც გააფთრებით იბრძოდა აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ. ამ გვარდიას სათავეში ედგა ცნობილი რენეგატი და შემდეგ რევოლიუციონური მოძრაობის ჯალათი—ვალიკო ჯუღელი. აქ იყო როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი ჯარი, ორივე საკმარისი არტილერიით. გარდა ამისა მენშევიკების ჯარში იყვნენ გერმანელი ოფიცრები; ყველა ამას ემატებოდა კიდევ გერმანელი ჰაეროპლანებიც, რომლებიც უშენდენ ყუმბარებს აჯანყებულ სოფლებს მაღლიდან. თუ რა ძალები გაგზავნა მენშევიკების მთავრობამ დუშეთის აჯანყებულების წინააღმდეგ, ეს სჩანს, სხვათა შორის, შემდეგი ოფიციალური განცხადებიდან:

1) „ვალ. ჯუღელის რაზმმა 3 ივლისს დილით დუშეთი აიღო, მას შეუერთდა პოლკოვნიკ კონიევის რაზმიც. ჩვენს მხრით სულ დაჭრილია 9 კაცი. გუშინ გაიგზავნა დუშეთში ახალი ჯარი" („ერთობა," 1918 წლ., № 138).

„სახალხო გვარდია და რევოლიუციონური ჯარები, მომქმედნი ბოლშევიკების „ბანდების" წინააღმდეგ, ორ რაზმად გაიყო: მარჯვნივ არაგვის ხეობით მოქმედობდა ფურცელაძის და ი. გედევანიშვილის რაზმები და სწრაფად მიიწევდა ანანურისაკენ მტრის ზურგიდან მოსავლელად. ხოლო მთავარი ძალები ამხ. კონიევისა და ჯუღელის ხელმძღვანელობით მიიწევდა სამხედრო გზით დუშეთზე და იქიდან ანანურისაკენ. სამი ბატარეის „ვზვოდმა" კაპ. ყანჩელისა და ცხენოსანმა ჯარმა პორ. კუტელიასი შეტევა დაიწყეს 6 ივლისს დილის 6 საათზე".

აშკარაა, რომ ასეთ გაწვრთნილ ჯარებს გლეხების ნახევრად უიარაღო და სრულიად გაუწვრთნელი რაზმები წინააღმდეგობას ბოლომდის ველარ გაუწევდენ და დუშეთის მაზრის გლეხკაცობის აჯანყება, ისე, როგორც მრავალ სხვა აზრების გლეხების აჯანყევების 1918 წელს, დამარცხდა და დაიწყო მენშევიკების მხრით საშინელი შურისძიება დუშეთელ გლეხებზე აჯანყებაში მონაწილეობისათვის. აჯანყებული გლეხები, რომლებიც თხოულობდენ მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას, რუსეთთან კავშირის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, გამოცხადებულ იქნენ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოღალატეებად," და როგორც ასეთებს, იმათ მენშევიკურმა მთავრობამ წინდაწინვე მიუსაჯა დახვრეტა. „ფრონტზე შემოღებულია სიკვდილით დასჯა"-ო—ასე ცინიკურად სწერდენ მენშევიკები თავიანთ გაზეთებში. მენშევიკების ჯალათები ხვრეტდენ გლეხებს საქმის გამოუძიებლად, იქავე ბრძოლის ველზე. ამ დახვრეტის დროს მენშევიკებმა გამოიჩინეს წარმოუდგენელი ბარბაროსობა და სიმხეცე: ისინი თავიანთ მსხვერპლთ ჯერ ატიტვლებდენ, მერე იმათ ათხრევინებდენ სამარეს და შემდეგ ამისა ხვრეტდენ. ყველა ამ მსხვერპლის და აგრეთვე ნივთიერი ზარალის რაოდენობა, რაც დუშეთის გლეხობამ გაიღო ამ აჯანყების დროს, არა თუ სისწორით, არამედ დაახლოებითაც არაა გამორკვეული. მარტო დახვრეტილების რიცხვი თვით აჯანყების ჩაქრობის დროს უდრიდა რამოდენიმე ასს მაინც. დატუსაღებულთა რიცხვი კი აღემატებოდა ათასს. გარდა ამისა მენშევიკების ჯარებმა ისახელეს თავი მით, რომ ასობით და ათასობით ააოხრეს, აიკლეს, გააოხრეს და გადასწვეს გლეხების ოჯახები. გვარდია ამ მხრით არაფრით ჩამოუვარდებოდა რეგულიარულ ჯარებს.

დუშეთის აჯანყების დროს მენშევიკების მიერ დახვრეტილებში ჩვენ დავასახელებთ აქ მხოლოდ რამოდენიმე პირს: თ ჩუბინიძეს, მ. პოპუაშვილს და ბოძიაშვილს. ეს უკანასკნელი მოკლულ იქნა აჯანყების შემდეგ კავკავში კონტრ-რევოლიუციონურ კაზაკების მიერ. იმათ გარდა ვინც მენშევიკების შურისძიებას გადაურჩა და გადაიხიზნა ჩრდილოეთ კავკასიაში, მენშევიკებს დუშეთის საპატიმროში ჰყავდათ დატყვევებული რამოდენიმე თვის განმავლობაში 500 გლეხი. შემდეგ აქედან გამოყვეს და თბილისის საპყრობილეში გადმოგზავნეს 22 კაცი, რომლებთაგან საპატიმროში გარდაიცვალენ: 1) ბალაშვილი მარკოზა, 2) გულმაგარაშვილი, 3) ცალხელა ხევსური და 4) ქადაგიშვილი ლექსო. ციხეში დატუსაღებული იყვნენ გარდა ამისა ამხ. გეგეჭკორის რაზმიდან 200-დე კაცი, აქედან ნახევარზე მეტი დაიხოცა ზოგი შიმშილისაგან და ზოგიც ავადმყოფობით.

მენშევიკებმა განიზრახეს დუშეთის აჯანყების მონაწილეების გასამართლება, დაიწყეს გამოძიება, შეაგროვეს დიდძალი მასალა, ამ პროცესში გლეხებს გარდა უნდა მოჰყოლოდენ კიდევ: ს. ქავთარაძე, ლ. დუმბაძე, ალ. გეგეჭკორი, კ. ცინცაძე და ამ სტრიქონების ავტორიც.

ყველა ესენი ერთ დროს დატყვევებული ჰყავდათ მენშევიკებს, მაგრამ ეს გასამართლება მენშევიკების მთავრობამ ვერ გაბედა, მას ეშინოდა იმის, რომ პროცესის დროს ბრალდებულის სკამზე არსებითად თითონ მოყვებოდა.

დუშეთის აჯანყება და მისი ჩაქრობა თავიდან ბოლომდე—ეს ყველაზე უდიდესი დანაშაულია, რომელიც კი მენშევიკებმა ჩაიდინეს საქართველოში თავის ბატონობის დროს. დუშეთის მაზრის გლეხკაცობა ვერ დაივიწყებს ყველა იმ უბედურებათ, იმ საშინელებათ, იმ სისხლის ღვრას, რაც მან მაშინ განიცადა. მას არ შეუძლია წყევლა-კრულვით არ მოიხსენიოს მენშევიკების მთავრობა.

ფ. მახარაძე.

*) იხ. გაზ. „წითელ არმიელის" № 126

# განვამტკიცეთ კავშირი გლეხობასთან.

მე-3-ე ლეგიონის მე-7-ე ასეულის კომუჯრედმა და ა. ლ. კ. კავშირის ჯგუფმა, ბანაკში ჩასვლისას შეფათ აიყვანა სოფ. კარალეთი, ამ სოფლის გლეხობასთან მჭიდრო კავშირი არის გაბმული. ჯერ-ჯერობით უჯრედებმა ამ სოფელში დაარსეს სამხედრო დრამატიული და სხვა წრეები. ამ წრეებში დიდი მუშაობა და მეცადინეობა მიმდინარეობს. წრეებმა მიიზიდა საგრძნობი რიცხვი გლეხებისა.

შ. გაგუა.

# ქართულ მეთაურთა სკოლის არსებობის ხუთი წელი.

## მხურვალე მხედრული სალამი სახელოვან მეთაურთა სკოლის კურსანტებს და მათ ხელმძღვანელებს!

## ქართულ მეთაურთა სკოლის წარსულიდან.

(პატარა ისტორია)

ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა დაარსდა 1921 წელს. კურსანტთა რიცხვი პირველად არ აღემატებოდა ერთოცეულს; სკოლა მოკლებული იყო სასწავლო ნივთებს, არ ჰქონდა სამუდამოთ მიჩნეული ბინა, ხშირად უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, არ გვქონდა სათანადოთ მოწყობილი სასწავლო ოთახები, სუსტი იყო სკოლის ეკონომიური მხარეც.

ამ პირობებში დაიწყო მთელმა შემადგენლობამ თავგამოდებული მუშაობა. თანდათან მოღონიერდა, გაიზარდა, გამრავლდა კურსანტების რიცხვი სუთნიდან და დაზგიდან მოსული ახალგაზრდობით.

თუ პირველად ოთხიოდე პარტიის წევრი და რამოდენიმე კომკავშირელი იყო სკოლაში კომისარიანად, ასე არ დარჩენილა შემდეგში. სკოლის საერთო მოღონიერებისა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებასთან ერთად გაძლიერდა პარტიული მუშაობა და გამრავლდა პარტიულთა რიცხვიც.

1922 წელში სკოლა უფრო მოღონიერებული შეუდგა მუშაობას. გამრავლდა კურსანტთა რიცხვი. გაიწმინდა სკოლა შეუფერებელი ელემენტებისგან. ახალი შემადგენლობის მიღება მეტის შერჩევით ხდებოდა. მეტი ყურადღება ექცეოდა მისალებად სოციალურ მდგომარეობას. გაუმჯობესდა მასწავლებელთა შემადგენლობაც.

გაუმჯობესდა სწავლების საქმე. პარტიის წევრთა რიცხვმა 20 მიაღწია, ახკომკავშირელებისამ კი 80-დე.

ამავე წელში საფუძველი ჩაეყარა სკოლაში საკლუბო მუშაობას. ამ წელში სკოლა პირველად გავიდა საბანაკოთ და თავისი მუშაობით ადგილობრივ გლეხთა შორის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ბანაკების დასრულების შემდეგ სკოლამ მონაწილეობა მიიღო ჩოლოყაშვილის ბანდების წინააღმდეგ. აქ მან საუკეთესოდ შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების დავალება და პირველად დაიქირა საბრძოლო გამოცდა.

სკოლის პირველი გამოშვება მოხდა 1922 წ. 5 დეკემბერს. ცხრა წითელი მეთაური მისცა მან პირველად ქართულ ლაშქარს.

შემდეგი 1923 წ. უფრო ნორმალური იყო სკოლისთვის. ამ წელში მიიღო სკოლამ ახალი საბრძოლო ნათლობა გურიაში მოქმედ ყაჩაღთა ბანდების წინააღმდეგ, რაც ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული.

ამავე წელში სკოლა მოეწყო კაბინეტებით, ლაბორატორიებით, წითელი კუთხეებით, კლუბით და სამკითხველოთი. გაძლიერდა მისი მუდმივი შემადგენლობაც.

გაიზარდა პარტიულ ამხანაგების რიცხვი.

1924 წელში მესამედ მიიღო სკოლამ საბრძოლო ნათლობა აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის შემდეგ კიდევ გადასცა ქართულ ლაშქარს კარგად მომზადებული მეთაურების ერთი ასეული.

1925 წლიდან სკოლა უფრო კარგ პირობებში შეუდგა მეცადინეობას. შემოღებულ იქნა ახალი მეთოდები სწავლებაში. მან კიდევ მისცა მომზადებული ამხანაგები ქართულ ლაშქარს და ახალი შევსების შემდეგ ისევ შეუდგა გაძლიერებულ მუშაობას.

წელს თავისი არსებობის 5 წლის თავზე სკოლა სრული იმედით აქვს რომ ენერგიული მეცადინეობით და შრომით სამხედრო და კულტურულ პოლიტიკურ განმანათლებელ ფრონტებზე, შესძენს ჩვენს წითელ ლაშქარს საუკეთესო ხელმძღვანელების და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ მეთაურების ახალ ძლიერ კადრს.

გაუმარჯოს ჩვენს სკოლას მისი არსებობის 5 წლის თავზე.

ტ.

# ჩვენს ტერნაწილებში.

## შეკრების შემდეგ შვებულებაში.

მე 5 ლეგიონი.

15 ივნისს მოხდა 1902 წ. დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელების გაშვება. ამის გამო წინა წარ—14 ივნისს საღამოს 7 საათზე გაიხსნა საზეიმო კრება, სადაც მოკლე მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხედრო კომისარი, რომელმაც განუმარტა წამსვლელებს თუ რა უნდა აკეთონ მათ სოფლად და როგორ უნდა შეუწყონ ხელი ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობას. დასასრულ საბჭომ უსურვა წამსვლელ ამხანაგებს ენერგიულად მუშაობა და აქტივობის გამოჩენა სოფლად საქმიანობაში.

წითელ არმიელები გამოვიდნენ აბხაზურ და რუსულ ენაზედ სოფლად მუშაობის შესახებ, რის შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია რომ „მოკლევადიან შვებულებაში „მიმავალი ცვალებადელები ფიცს ვდებთ, რომ ჩვენ ყოველმხრივ ჩავებმებით სოფლათ მუშაობაში და შევასრულებთ იმ დიდ ამოცანებს, რომელსაც გვაკისრებენ ჩვენი უფროსები.

გაუმარჯოს მე 5-თე ლეგიონს!

გაუმარჯოს ჩვენს ტერ-აღმშენებლობას“.

კრების შემდეგ ჩატარებულ იქნა 2 მოქმედებიანი პიესა. დასასრულ წითელ არმიელებისაგან შემდგარ მომღერალთა გუნდმა შეასრულა სხვა და სხვა სიმღერები.

ოგანოვი.

## წრეებისა და ჯგუფების მეცადინეობა ჩვენთან.

მე 6 ლეგ. სკოლა.

წრეებისა და ბიოთვების მუშაობა 1903 წელში დაბადებულთა ოსვლის შემდეგ საგრძნობლად გამოცოცხლდა.

საზამთრო მუშაობის პერიოდში სუსტად სწარმოებდა მუშაობა. უკანასკნელ ხანებში ის ძლიერ გახალისებულა და ნორმალურად მიმდინარეობს ყველა წრეებში. ლიტერატურულ წრეში ხშირად ეწყობა სხვა და სხვა მწერლების ნაწარმოების გარჩევა. ხდება გასამართლებაც.

პოლიტბიუთვი წარმატებით ატარებს სხვა და სხვა თემების გარჩევას, რის შემდეგ იმართება კითხვა პასუხის საღამოები ლოტარიით.

გულმოდგინეთ მუშაობს სამხედრო წრეც. მუშაობა მიმართულია უმთავრესად იქეთკენ, რომ მომზადებული იქნენ მომავალი გლეხკორები და მუშკორები. წრე მხურვალე მონაწილეობას ღებულობს კედლის გაზეთის გამოშვებაში.

კარგ მუშაობას აწარმოებს აგრეთვე რემდასის წრე.

ხშირია სკოლაში აგრეთვე საუბრები და გაზეთების ხმამაღალი კითხვა, რასაც წითელ არმიელები მეტის მეტად ეტანებიან.

დ. მუსერიძე.

## ვსწავლობთ წერა-კითხვას.

მე-5 ლეგიონის საკავშირო გუნდი.

ლეგიონში ცვალებადელთა მოსვლისთანავე დაარსებული იქმა წერა-კითხვის უცოდინართათვის სკოლა, რომელშიდაც იმ თავითვე დაიწყო მეცადინეობა. საკავ იროთ გუნდიდანაც არიან სკოლაში წერა-კითხვის უცოდინარები, რომლებიც ენერგიულად მეცადინეობენ.

თითქმის კარგად შეისწავლეს კიდევაც წერა-კითხვა. ზოგიერთები ეხლა იდგამენ კითხვაში ფეხს, მაგრამ განსაკუთრებული მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობას მაინც.

ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს მათ შორის, იმის შესახებ თუ რა დიდი სიკეთე უქნა მათ საბჭოთა ხელისუფლებამ. „ჯარში რომ არ წამოვეყვანეთ, აბა ვინ გვასწავლიდა ამ სწავლასო“.

აქ ეულში სპეციალურად ტარდება მათთვის ყოველ საღამოობით გაზეთების ხმამაღლა კითხვა, რითაც დიდი ნასიამოვნები რჩებიან.

ამნაირად სახლში გაშვების დროს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება ჩვენს ნაწილში.

ვახ. ხაჯაია.

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## ღამის მანევრებზე

მე-2 ლეგ. 9 ასეული.

ამას წინად ჩვენი ასეული გაემგზავრა ღამის მანევრების ჩასატარებლად სოფ. უფლის ციხისკენ.

წინასწარ მიცემული იქნა მომგერიებელ და შემტევაზე გადამსვლელ ნაწილებზე შესაფერი ამოცანები. უმცროს მეთაურებს მიეცათ აგრეთვე სათანადო დავალებანი და დაიწყო ნამდვილი საბრძოლო წესით მოძრაობა.

ყველა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ დავალებებს. წითელ არმიელები იშვიათ გამძლეობასა და გულისყურს იჩენდენ.

მეცადინეობა ნაყოფიერად იქნა ჩატარებული. მანევრების დამთავრების შემდეგ მოხდა ჩატარებულ მუშაობის განხილვა. გავითვალისწინეთ დაშვებული შეცდომები და მიღწევები, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალი მეცადინეობისათვის.

ილ. პატაშური

## ვემზადებით მანევრებისათვის

ცალკე საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეული დიდი მუშაობის შემდეგ, როგორც იქნა მოეწყო ბანაკში. უკვე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა სამხედრო და პოლიტიკურ დარგებში. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობას. ყველა წრეები ენერგიულად მოქმედებენ. წითელ არმიელების ინტერესი დიდია ამ მუშაობაში.

სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. უმთავრესად გავდივართ პრაქტიკულ ვარჯიშს სპეც იარაღებზე ველში გადატანით. შეთვისება წითელ არმიელებისაგან დამაკმაყოფილებელია. სწარმოებს მზადება მანევრებისათვის.

ვ—ნო

## წრეების მუშაობა მოისუსტებს.

1-ლი ლეგიონი.

ბანაკად გასვლის დროს მართალია ლეგიონს ყველაფერი ახლად გასაკეთებელი და ჩამოსაყალიბებელი ქონდა, მაგრამ წრეების მუშაობა მაინც არ უნდა შეჩერებულიყო მთლად. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და თითო საათი მაინ მოვანდომოთ წრეებში მუშაობას თავისუფალ დროზე. წრეებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვთ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რომ წითელარმიელი უფრო გაერკვეს ყველა საკითხებში და იქონიოს წარმოდგენა მასზე, საჭიროა დაიარსდეთ ჩვეულებრივ მუშაობას და ავამოქმედოთ წრეები, განსაკუთრებით კი პოლიტ-წრეები, რადგან წითელარმიელების მეტი ნაწილი ამ წრით უფრო არიან დაინტერესებული.

კ. მინდიაშვილი.

## პოლიტმუშაობა გამოცოცხლდა.

ცხენოსანი ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოცოცხლდა ნაწილში პოლიტიკური მუშაობა. ყოველ კვირაში სამჯერ იმართება პოლიტსაათები, რასაც წითელ არმიელები უკლებლად ესწრებიან და გულმოდგინეთ სწავლობენ.

ყოველ საღამოობით იმართება ესკადრონების ლენკარვებში პოლიტიკური ხასიათის საუბრები. იკითხება გაზეთები კოლექტიურად და საერთო ძალღონით ერკვევიან საერთაშორისო მდგომარეობაში.

ნაწილში დაარსებულია სხვა და სხვა ხასიათის წრეები. მეცადინეობა მათშიაც ყოველ დღეს სწარმოებს გარდა უქმე დღეებისა. წითელ არმიელები დაინტერესებული არიან მუშაობით და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყველაფერში. ხშირად იმართება წრეებში კამათი. შეაქვთ შეკითხვები და სხვა.

მოკლე ხნის განმავლობაში წითელ არმიელებმა საკმაოდ შეითვისეს ყველასათვის აუცილებელი და საჭირო ცოდნა პოლიტიკურ საკითხებში. მუშაობა ამ მარივ კიდევ უფრო განაყოფიერდება. ამის თავდებია წარმოებული მუშაობის ნაყოფიერება.

პ. ჩადარეიშვილი.

## ჩვენი დრამწრე.

ქართ. სამხ. პოლიტსკოლა

სკოლის დრამწრემ კარგი ნაყოფი გამოიღო საზამთრო პერიოდის მუშაობით. წრე ხშირად სდგამდა უფასო წარმოდგენებს და ამნაირად ეწყოდა სააგიტაციო მუშაობას სხვა და სხვა დაწესებულებებიდან მოპატიჟებულ მუშებსა და წ. არმიელებს შორის. ბანაკში გასვლის შემდეგ კი დრამწრემ შეიმუშავა სათანადო გეგმა და ეწევა მუშაობას გლეხობასთან, იმ საქმიანობასთან შეფარდებით, რომელსაც აწარმოებს დღეს ბანაკში წითელი ჯარის ნაწილები.

სკოლის წრემ დასდგა რამოდენიმე აგიტაციური ხასიათის უფასო წარმოდგენები ბანაკში და მის მახლობელ სოფლების გლეხებისათვის. განზრახულია აგრეთვე ცოცხალი სურათების და სცენების მოწყობა.

ასკანელი.

## საჭიროა სანიტ-საათი

ტფ. სამხედრო გოსპიტალი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენის შემდეგ გოსპიტალში გაჩაღდა ენერგიული მეცადინეობა. წითელ-არმიელები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. ერთი-ერთ დღეს მეცადინეობს და მეორე კი მეორე დღეს.

წითელ არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან პოლიტიკურ საათებს. არც ერთი მათგანი არ აკლდება მეცადინეობას. დაარსებული იქნა აგრეთვე კომკავშირის სკოლა. აქვე არსებული პოლიტწრე სკოლასთან ერთად მეცადინეობს ყოველ ორშაბათობით. ხშირად იმართება საუბრები სხვადასხვა საკითხების გარშემო.

სამწუხაროთ არ სწარმოებს ჩვენთან სანიტარული ხასიათის მეცადინეობა, რაც დიდ აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც სპეციალური დანიშნულების შემადგენლობისათვის.

საჭიროა შესაფერი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს.

ბ—ნი.

## გაზ. „წითელ არმიელი“ ცოტა მოგვდის.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონს ვერ აკმაყოფილებს გაზ. „წითელ არმიელის“-ის რეცხვი, რომელიც ამჟამად მოგვდის. წითელ არმიელებიდან დაწყებული და გათავებული უფროს-პოლიტ შემადგენლობით ყველა კითხულობს მას, ყველა დაინტერესებულია მისით. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, რადგან გაზეთი მეტად საინტერესო შეიქნა ყველასათვის. ლეგიონის ბიბლიოთეკიდან და ლენკარვებიდან მიაქვთ წასაკითხათ გაზეთი ამხანაგებს და შემდეგ ველარ შოულობს დანარჩენი გაზეთს, რომ წაიკითხონ.

საჭიროა ბიბლიოთეკის გამგემ აიღოს ინიციატივა და ყველა დაინტერესებულ ამხანაგებს და კომუჯრედებს გამოაწერიოს გაზეთი „წითელ არმიელი“. გაზეთზე მოთხოვნილება მეტად გაიზარდა. ლეგიონი უნდა დაკმაყოფილდეს გაზეთების სათანადო რიცხვით.

ტ—ძე.

## სამხედრო'

თვალყური ადევნე:

როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ უვლიან წითელ არმიელები ტანსაცმელს, იარაღს, ფეხსაცმელებს, ხომ არა აქვს სადმე ადგილი ზედმეტ ხარჯებს.

## ჩამოვაყალიბეთ სხვადასხვა წრეები.

3 ლეგ. ბატარეია.

ბანაკში გასვლისთანავე შეუდგა ბატარეია მუშაობას. უკანასკნელად მოწვეული იქნა ჩვენი ლეგიონისა და 1-ლი დივიზიის ლეგიონების ბატარეიების გაერთიანებული კრება.

კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება სკოლის გარეშე მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

კრებამ მთლიანად გამოსთქვა სურვილი, რომ დაარსებული ყოფილიყო სხვადასხვა წრეები.

ამნაირად ბატარეიების მასშტაბით ჩამოყალიბებული იქნა შემდეგი წრეები: ლიტწრე, პოლიტიკური, სამხედრო, კოოპერაციის, სპორტიული, მომღერალთა და სხვა.

იქვე მოეწყო წრეებში ჩაწერის საქმე. ჩაბმული იქნენ მუშაობაში ყველა კულტურული და მცოდნე მომზადებული ძალები. არ დარჩენილა არც ერთი წითელ არმიელი, რომ არ ჩარიცხულიყოს რომელიმე წრეში მაინც.

რიონისპირელი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით ჩაისათვის სუფთა წყალი.

1-ლ საკავშირო ასეულში ამ უკანასკნელად ჩაისათვის გვიდუღებენ წყალს სადილის სახარშავ ქვაბებში. წყალი ამის გამო ძლიერ უგემურდება. ხშირად ქონით არის სავსე და ბორშის სუნი უდის. წითელარმიელების უმრავლესობა ამის გამო სიახლოვეს არ იკარებს წყალს. საინტერესოა, თუ აქამდე სუფთა ქურქლები ჰქონდა ჩვენს სამნეო ნაწილს ჩაის წყლის ასადუღებლად, ეხლა რა იქნა ეს ჭურჭლები და რა მიზეზია, რომ სუფთად არ ადუღებენ წყალს. დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ველჯ.

### სამზარეულოში უწესრიგობაა.

მე-2 ლეგ. 3 ათასეულის სამზარეულოში დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი, განსაკუთრებით სადილის დარიგების დროს. აურევზა ხალხი იყრის თავს სასადილოთ. არ არის შემოღებული განსაზღვრული წესრიგი. ყველას ერთად უნდა ისადილოს და ერთ აურზაურს აქვს ადგილი. ამასობაში, სადილს რომ უნდა მოვანდომოთ ნახევარი საათი, ვანდომებთ 3 საათს. აურევა დრო იკარგება ტყვილა უბრალოთ.

საჭიროა შემოღებული იქნეს წესრიგი და დაენიშნოს თითეულ ნაწილს თავისი დრო სადილობისათვის.

მ. შ.

### მოაგვარეთ წყლის მოწოდების საქმე.

ბანაკში პირველი დივიზიის ნაწილები არ არიან დაკმაყოფილებული წყლით. მთელ ბანაკში მხოლოდ ერთი წყალსადენის მილი არსებობს, რომელიც ოდნავ ვერ აკმაყოფილებს ნაწილების მოთხოვნილებას.

ხშირია ჩხუბი და უთანხმოება ნაწილებს შორის წყლის გამო. ერთმანეთს ეცილებიან წყლის მისაღებად.

წყლის საქმე აუცილებლად უნდა მოაგვაროს ბანაკის კომენდანტმა, თორემ შეუძლებელია წესიერი მეცადინეობა და საქმიანობა ასეთ პირობებში.

გ. უშიძე.

## რა უნდა იცოდეს თითეულმა წითელ არმიელმა.

სამხედრო პირისათვის აუცილებელია იცოდეს თუ როგორ უნდა დადგეს გაგნებაზე, ე. ი. თუ ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ შეუძლებელია მისთვის პირდაპირ გამოიცნოს ჩრდილოეთის, სამხრეთის და სხვა მიმართულებანი (მაგალითად ბრძოლის დროს ტყეში. ბურუსიან ამინდებში მოქცევა და სხვა)

ამისათვის არსებობს უბრალო საშვალებები, რომელთა ცოდნა არა თუ მეთაურის არამედ თითეული წითელ არმიელისათვისაც არის საჭირო.

საჭიროების დროს შემდეგნაირად შეიძლება დავდგეთ გაგნებაზე:

ღამით—უნდა მოვსძებნოთ ცაზე ე. წ. დიდი დათვის კრებული და მისი უკანასკნელი განაპირა ორი ვარსკვლავიდან გავატაროთ სწორი ხაზი. გზაზე შეხვედრილი პირველი ვარსკვლავი იქნება ე. წ. პოლიარული ვარსკვლავი—ჩრდილოეთის მაჩვე ნებელი.

საათის საშვალებით—საათის აღმნიშვნელი ისარი უნდა დაუპირდაპიროთ მზეს. ციფერბლატის დანაყოფის-12-სა და ამ საათის ისარს შორის მოთავსებული კუთხე უნდა გავყოთ შუაზე სწორი ხაზით, და მისი მიმართულება გვიჩვენებს სამხრეთს. აქედან ადვილი მოსაძებნია სხვა მხარეებიც.

ტყეში—ხეების საშვალებით: ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხავსი იზრდება ხის მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ მიპყრობილ მხარეზე.

ხის ძირის გადანაჭერით: გადანაჭერზე ხის წლოვანების აღმნიშვნელ ზოლები ყოველთვის უფრო სქელია სამხრეთისაკენ მიმართულ მხარისკენ, ჩრდილოეთისაკენ-კი ვიწრო.

## დადგენილება

### საქართველოს წითელი ჯარის არსებობის ხუთი წლის თავზე ჩატარებულ კონკურსის საკონკურსო კომისიისა.

კომისიამ, გაითვალისწინა რა გაზეთ „წითელ არმიელში" მოთავსებული და აგრეთვე პოლიტგანყოფილების განკარგულებაში მყოფი არა ოფიციალური მასალა, დაადგინა ჯილდოები განაწილებული იქნენ შემდეგათ:

**სამხედრო კუთხეებს:**

1. ქვემო მაჩხაანის, 2. ატენის, 3. შინდისის, 4. ქუთაისის გლეხთა სახლის, 5. თბილისის გლეხთა სახლის,—მიეცეს ამხ. მახარაძის, ორჯონიკიძის და ვოროშილოვის სურათები ჩარჩოებით, და კუთხის გამგეებს კი ჯონ რიდის თხზულება „10 დღე" . . .

1. ლიუქსემბურგის და 2. მე-5 ლეგ. მე-3 ათასეულს, მიეცეს ამხ. ვოროშილოვის სურათი, კუთხის გამგეს ჯონ რიდის თხზურლება „10 დღე. . ."

**მასწავლებლებს:**

1. ცხენოსან ლეგიონის — დვალს, 2. მე-5 ლეგიონის —მესხს, 3. მე-6 ლეგიონი—ჯაფარიძეს მიეცეს თვითეულს ნექმები.

**ბიბლიოთეკარებს:**

1. მე-4 ლეგ. მე-2 ათას. გურგენიძეს, 2. მე-5 ლეგ. ცხვირაშვილს, 3. მე 6 არტლეგ. შალამოვს 4. მე-2 არტლეგ. ერემაშვილს, მიეცეს პირადათ ლიტერატურა და მათი ბიბლიოთეკები შევსებულ იქნეს წიგნებით.

**პოლიტმომუშავეთ:**

1. ამხ. უგულავას (მე-5 ლეგ.). 2. ამხ. ნანაძეს, (მე 6 ლეგ.) 3. ამხ. ბელოვს, (მე-4 ლეგ.) 4. ამხ. ქალიაშვილს, (მე-4 ლეგ.) 5. ამხ. ჰანკვეტაძეს, ( მე 6 ლეგ.) 6. ამხ. ლომიძეს (მე- ლეგ.). მიეცეს თვითეულს ლიტერატურა.

**მეთაურებს.**

1. ამხ. ანთაძეს, (მე-2 არტლეგ.) 2. ამხ. კოხრეიძეს, (მე-4 ლეგ.) 3. ამხ. მესხი (მე-5 ლეგ.) 4. ამხ. კიკნაძეს (მე-2 არტლეგ.) 5. ამხ. კილაძეს (1-ლი ლეგ.) 6. ამხ. ბოსიკაშვილს (მე-4 ლეგ.) 7. ამხ. ყურაშვილს (მე-6 ლეგ.). მიეცეს თვითეულს ლიტერატურა.

**ცვალებადებლებს.**

1. ფატინაშვილს ნ. 2. ლოთეშვილს დ. 3. ელბაქიძეს მ. 4. ჰუჭყიშვილს ს. 5. ცხადაძეს იუსტ. 6. კვინიკაძე სევ. 7. თალაკვაძე რ. 8. კოლუაშვილს 9. ჭანყარაშვილს.

მიეცეს: პირველ ოთხს ტანისამოსი ჩექმებით, დანარჩენს ტანისამოსი. გამოეწეროს ყველას გაზეთი „წითელი არმიელი."

**საუკეთესო მკითხველებს:**

1. ბუჩუკური—( მე-2 მეს. ას.) 2. გოელიძე—( მე-2 საკავშირო ას.) 3. ტყემალაძე—(ცხენოსანი ლეგ.) 4. კვერნაძე —(ცხენ. ლეგიონი) 5. იოსავა—(ცხენ. ლეგ.) 6. კვეზერელი — (მე-6 ლეგიონი) 7. მაგრაქველიძე— (მე-6 ლე.) 8. მაჩაიძე— (მე-6 ლეგ.) 9. ჰოჭუა— (მე-6 ლეგ.) 10 მოსაშვილი— (მე 6 ლეგ.) 11. კუპრაშვილი— (მე-5 ლეგნონი) 12. ჰიფოძე — (მე-4 ლეგიონი) 13. გავაშელიშვილი— (მე-4 ლეგ.).

მიეცეს ყველა აღნიშნულ ამხანაგებს ლიტერატურა.

საკონკურსო კომისია.

## პასუხი შეკითხვებზე

**ბ. შალვას.** ჯამაგირი უნდა მიიღოთ ისე, როგორც სხვა წ. ა. ღებულობენ.

**რამიშვილს.** უფროსს აქვს უფლება მოგხსნას ერთი საქმიდან და გაგაკეთებიოს მეორე საქმე.

**გოლინსკის.** სამი წელიწადი უნდა იმსახუროთ, თუ სამჰედლო კურსები გაიარეთ.

**ბერიძეს.** ამა წლის შემოდგომაზე.

**კეძელიას.** შეგიძლიათ თქვენი პოლიტხელის საშუალებით გამოარკვიოთ.

**გ. კ.—ას.** თქვენ მართალია დაბადებული ხართ 1901 წ., მაგრამ გამოუწვევიხართ 1903 წ. დაბადებულებთან, ამიტომ შვებულებაში წახვალთ მათთან ერთად.

**ვასოს.** მოკლე ვადიანი შვებულება არ გეკუთვნით.

**ფრონისპირელს.** თქვენი ნაწილის საშუალებით მიმართეთ გლეხკომს, რომ დაეხმაროს თქვენს ოჯახს ყანის დამუშავებაში. (საკავშირო ცაკის დადგენილება).

**აგლაძეს.** მიწის გადაცემის უფლება არ აქვს. თუ ამის ადგილი ქონდა შეგიძლიათ მიმართოთ მაზრის პროკურორს.

**მართალს.** ვერავითარ რჩევას ვერ მოგცემთ, გარდა იმისა რომ ექიმს მიმართოთ.

**მოურავიძეს.** არა.

**დაინტერესებულს.** გაყოფის შემდეგ არ შეუძლია.

**გ. მოხარეულელს.** არ გეკუთვნით.

**სენაკელს.** მეშვიდე ხარისხით.

**ელ. მეხ—ს.** მიმართეთ სამნეო ნაწილის უფროსს.

**ჯოკოშვილს.** განთავისუფლდებით.

**მაკრატელს.** გეკუთვნით განწესებაში გასვლა.

**№-ს** ტარების ვადის შესრულების შემდეგ გადადის თქვენს საკუთრებათ.

**მეგრელიშვილს.** № 1520-24 წ. ბრძანებაში დამატებ. საკავშირო ცაკის დადგენილება.

**ვარაზაშვილს.** დამზღვევი სალაროდან დახმარება მოგეცემათ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ჯარში გაწვევისა.

## პასუხი სამხკორებს

**ტ. ფაცურიას.** (5 ლეგ.) თქვენი წერილი მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, კონკრეტულად არ ეხება თუ როგორ იცავთ და რაში გამოიხატება ის თქვენს ნაწილში. საჭიროა მოიწეროთ თუ როგორ ზომებს ღებულობთ ამ მხრივ. ეს წერილი არ დაიბეჭდება.

**კალამს.** (4 ლეგ.) თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ასეთი იყო.

**რიონისპირელს.** (1-ლი ლეგ.) კორესპონდენცია „1-ლი ლეგიონი" არ დაიბეჭდება. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**აზიკუროვს.** (2 ლეგ.) წერილი—„ჩვენ რა დავამშავეთ" არ დაიბეჭდება. ამ საკითხის გამორკვევა შეიძლება ადგილობრივ. წერილი მოათავსეთ ადგ. კედლის გაზეთში.

**გ. ჩიტიაშვილს** (პოლიტსკოლა) წერილი სკოლის წარსული საქმიანობის შესახებ არ დაიბეჭდება. მეტად დაგვიანებულია. საჭიროა სწეროთ იმაზე თუ რა კეთდება ამ ჟამად.

**დ. კ—ვა-ს** თქვენი კორესპონდენცია საბანაკო მუშაობის შესახებ არ გადის. ასეთი იყო.

**ი—ა-ს და ვ. ნარსიას** თქვენი წერილები დაგვიანებით არის მიღებული მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. არ გადის.

**ახალ კალამს** (გოსპიტალი) წერილი გუშაგობის შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ მიმართეთ პირდაპირ უფროსს.

**პა—ლი-ს** (3 ლეგ.) თქვენი წერილი მეტად უმნიშვნელოა არ გადის.

**სამხკორ ვ-ს, მუშას და ბამვლელს.** თქვენი კორესპონდენციები გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა—ანნა საბას ასული, ძმები— გიორგი და მიხეილ, დები—მარიამ, ბარბალე, თამარი, ევგენია და ელენე კოზმოვები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს, მათი უსაყვარლესი, პირველის შვილის და მეორენის ძმის

**ლევან კოზმოვის**

უდროოდ გარდაცვალებას.

გამოსვენება მოხდება კვირას 20 ივნისს. კომუნალური ქუჩა № 77.

---

**დაკარგე** საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა პროფკავშირის საწევრო წიგნა № 14426, და ტფილისის დამზღვევ კასის ბარათი № 158 სერგო დიმიტრის ძე ჰანტურიშვილის სახელობაზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

---

## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი-რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.